- **ქვეპროგრამა: ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი (პროგრამული კოდი 02 03 01).** პროგრამა ითვალისწინებს მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კეთილმოწყობას და მოსახლეობისათვის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების ხელშეწყობას. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სახურავების რეაბილიტაცია, ფასადების მოწესრიგება, შიდა საერთო მოხმარების წყალმომარაგების და კანალიზაციის სისტემების შეკეთება, კიბის უჯრედების მოწესრიგება.  
ასევე ადმინისტრაციული და სხვა შენობების მშენებლობა-რეაბილიტაცია.

**ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი:** მრავალბინიანი სახლების მობინადრეთათვის უსაფრთხო, გაუმჯობესებული და კომფორტული საცხოვრებელი გარემოს შექმნა, ადმინისტრაციული და სხვა შენობების მშენებლობა-რეაბილიტაცია; შექმნილია ახალი საბინაო ფონდი, გაუმჯობესებულია მრავალბინიანი სახლების ინფრასტრუქტურა და შექმნილია კომფორტული საცხოვრებელი გარემო; რეაბილიტირებულია ადმინისტრაციული შენობები და მოსახლეობისთვის შექმნილია პირობები მუნიციპალური სერვისების კომფორტულ გარემოში მისაღებად.

| N           | პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა                                                                        |
|-------------|----------------------------------------------------------------------------------------------------------|
| 02 03 01    | ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა, ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების რეაბილიტაცია, დემონტაჟი |
| 02 03 01 01 | ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მხარდაჭერა და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება                         |
| 02 03 01 02 | ცხმორისის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფლის სახლის მოწყობა                                                  |
| 02 03 01 03 | სოციალური სახლის მშენებლობა(მათ შორის: საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შემენა)                   |

- **პროგრამა: ნაპირსმაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია; (პროგრამული კოდი 02 03 02).** გეოლოგიური დასკვნების საფუძველზე ხორციელდება სამუშაოები დაზიანებული გზების, წყლის სისტემების, სანიაღვრე არხების, უმისამართოდ გამდინარე წყლების უსაფრთხო ადგილზე გადაყვანის, მეწყერის შედეგად დაზიანებული შენობა-ნაგებობების და სხვა ინფრასტრუქტურული სამუშაოები, ასევე ახალი ტერიტორიების ათვისება რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

| N           | პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა                             |
|-------------|---------------------------------------------------------------|
| 02 03 02    | ნაპირსმაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია |
| 02 03 02 01 | მეწყერსაწინააღმდეგო ღონისძიებები                              |

**ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი:** სტიქიისგან მოსახლეობის, მუნიციპალური და კერძო საკუთრების დაცვა და ახალი ტერიტორიების ათვისება; სტიქიისგან დაცული მოსახლეობა, მუნიციპალური და კერძო საკუთრება და ათვისებული ახალი ტერიტორიები



- **პროგრამა:** პარკების, სკვერების, ატრაქციონების, ბილბორდების, ქუჩებისა და დასახლებული ტერიტორიების კეთილმოწყობა და მოვლა შენახვა (პროგრამული კოდი 02 03 03). პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული პარკებისა და სკვერების მოვლა-პატრონობა, კერძოდ, ნარგავების მოვლა, ნიადაგის მომზადება, ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავების დარგვა, მორწყვა, შეწამვლა და საჭიროების შემთხვევაში შხამქიმიკატების შეტანა. სკვერებისა და პარკების მოწყობის დროს გათვალისწინებული იქნება ქალთა და ბავშვთა, შშმ პირების, ახალგაზრდების, მოხუცების, კაცების და სხვადასხვა სოციალური ჯგუფების საჭიროებები. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

| N           | პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა                                                                                                                                  |
|-------------|--------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| 02 03 03    | პარკების, სკვერების, ატრაქციონების, ბილბორდების, ქუჩებისა და დასახლებული ტერიტორიების კეთილმოწყობა და მოვლა შენახვა                                                |
| 02 03 03 01 | ცხმორისის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფელ ახლში სკვერის მოწყობა                                                                                                      |
| 02 03 03 04 | მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების ცენტრებისა და მასში შემავალი სოფლების ცენტრების კეთილმოწყობის, ინფრასტრუქტურის მოწყობის და სხვადასხვა ინვენტარის შეძენა |
| 02 03 03 05 | დაბა ქედაში ლითონის კონსტრუქციის მოწყობა ეროვნული დროშისთვის                                                                                                       |

**პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი:** მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება; მოწყობილი და გაფართოებული სარეკრეაციო და ტურისტული ინფრასტრუქტურა და სხვადასხვა სოციალური ჯგუფების წარმომადგენლებისთვის შექმნილია თანაბარხელმისაწვდომი გარემო დასვენებისა და გართობისთვის, მოვლილი ერთწლიანი და მრავალწლიანი ნარგავები და პარკები.

- **პროგრამა:** მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, სარეგისტრაციო, ზედამხედველობის და ექსპერტიზის ხარჯები (პროგრამული კოდი 02 04). მუნიციპალიტეტში დაგეგმილი სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ნორმებითა და წესების გათვალისწინებით განხორციელების პირობას შესაბამისი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია წარმოადგენს. ხოლო საჭიროების შემთხვევებში აუცილებელია შესაბამისი გეოლოგიური კვლევების წარმოებაც. ასევე აუცილებელია სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და შესრულებულ სამუშაოებზე შესაბამისი ექსპერტიზის ჩატარება, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება შესრულებული სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციასთან შესაბამისობის დადგენა. ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ზემოაღნიშნული ღონისძიებების განხორციელებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება. 2022 წლისათვის დაგეგმილი და შესყიდული მშენებლობის პროექტების სისტემატურ კონტროლს. ფარული სამუშაოების ზუსტად აღრიცხვას და ფორმა N2-ების მიხედვით შესრულებული სამშენებლო სამუშაოების ხარისხისა და ზომების შემოწმებას. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

| N     | პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა                                                                                    |
|-------|----------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| 02 04 | მუნიციპალიტეტის განვითარების გეგმის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო, სარეგისტრაციო, ზედამხედველობის და ექსპერტიზის ხარჯები |
|       | ძირითადი და დამატებითი ქონების ნუსხის შექმნასთან დაკავშირებით საჭირო სამუშაოების ჩატარების და                        |



|          |                                                                                                                                                                                                                               |
|----------|-------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| 02 04 01 | ადრეცხული ქონების საჯარო რეესტრში რეგისტრაციისათვის საჭირო საიდენტიფიკაციო დოკუმენტის შექმნა (მიწის ნაკვეთის საკადასტრო-აზომვითი ნახაზები და მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობის გეგმა-ნახაზების შედგენა) გეოლოგიური დასკვნები |
| 02 04 02 | პრიორიტეტული ღონისძიებების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შექმნა                                                                                                                                                     |
| 02 04 03 | მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული ობიექტების სამშენებლო სამუშაოებზე საზედამხებდელი მომსახურების გაწევა                                                                                                       |

**პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი:** ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადება და ქონების ნუსხის შექმნასთან დაკავშირებული საჭირო პროცედურების ჩატარება; მომზადებული ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია და ჩატარებული ქონების ნუსხის შექმნასთან დაკავშირებული საჭირო პროცედურები.

- **პროგრამა:** სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 05). მუნიციპალიტეტის მიერ ფერმერებისათვის ხელშეწყობა საერთაშორისო და აგო გაყიდვების გამოფენა-გაყიდვაში, ასევე პირუტყვთა ვაჭვინაცია. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

| N        | პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა                                                        |
|----------|------------------------------------------------------------------------------------------|
| 02 05    | სოფლის მეურნეობის ხელშეწყობა                                                             |
| 02 05 01 | აგრო-სასურსათო პროდუქციის ადგილობრივი და საერთაშორისო გამოფენა-გაყიდვებში მონაწილეობა    |
| 02 05 02 | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფერმერთა საკუთრებაში არსებული პირუტყვის ვაჭვინაციის პროგრამა |

**პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი:** მუნიციპალიტეტის მიერ ფერმერებისათვის ხელშეწყობა საერთაშორისო და აგო გაყიდვების გამოფენა-გაყიდვაში, ასევე პირუტყვთა ვაჭვინაცია; ხელშეწყობილია მუნიციპალიტეტში მცხოვრები ფერმერები.

| N     | პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა                                           |
|-------|-----------------------------------------------------------------------------|
| 02 06 | სოფლის მხარდაჭერის პროგრამა                                                 |
| 02 07 | საცხოვრებელ და არასაცხოვრებელ შენობა-ნაგებობებში ელექტრო მეურნეობის აღდგენა |
| 02 08 | შპს ქედის ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის ცენტრი                          |

## პრიორიტეტი

### 3. დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00).

- **პროგრამა:** მუნიციპალური ნარჩენების მართვა და დასუფთავება (პროგრამული კოდი 03 00) პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ცალკეული ტერიტორიის, მწვანე საფარის, არსებული ეზოების დაგვა-დასუფთავება; სანაგვე კონტეინერების დეზინფექცია, მუნიციპალიტეტის ცალკეული ტერიტორიების, ქუჩების მორწყვა-მორეცხვა; მუნიციპალიტეტის ტერიტორიის თოვლის საფარისაგან გაწმენდა, მოყინვის საწინააღმდეგო სამუშაოების განხორციელება და საჭიროების შემთხვევაში თოვლის მასის გატანა; საყოფაცხოვრებო, მყარი და დიდი ზომის ნარჩენების, ქუჩების მონახვეტის შეგროვება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ ურნებში და ნაგავსაყრელ პოლიგონამდე ტრანსპორტირება; მუნიციპალიტეტის



ტერიტორიიდან ნარჩენების გატანას მოემსახურება 2 ნაგავმზიდი. გარე- განათების მოვლა პატრონობა, უპატრონო და მაწანწალა ცხოველების გაუვნებელყოფა, გზის გაწმენდა ჩამოწოლილი მეწყერის მასისაგან, გზის გაწმენდა თოვლის საფარისგან. საზოგადოებრივი საპირფარეშოების მოვლა-პატრონობა. მუნიციპალიტეტში სოფლებისათვის დამატებით კომუნალური მომსახურებისათვის კონტეინერების განთავსება დღემდე მომსახურების გარეშე დარჩენილი უბნებისათვის. რითაც მომსახურების სფეროში მოექცევა მუნიციპალიტეტის მთელი დასახლებული ტერიტორია. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

| პროგრამული კოდი | პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა                                          |
|-----------------|----------------------------------------------------------------------------|
| 03 00           | დასუფთავება და გარემოს დაცვა                                               |
| 03 01           | სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა დასუფთავებისა და გარემოს დაცვის სფეროში |
| 03 01 01        | შპს ქედის კომუნალურსერვისი                                                 |
| 03 01 02        | ნაგავმზიდის შეძენა (ერთი ერთეული)                                          |

**პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი:** მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება და დასუფთავების მუნიციპალური სერვისის გამართული ფუნქციონირება; გაუმჯობესებულია ეკოლოგიური მდგომარეობა და მუნიციპალური ნარჩენების მართვა.

#### პრიორიტეტი:

#### **4. განათლება (პროგრამული კოდი 04 00).**

**პროგრამა: სკოლამდელი აღზრდა და განათლება (პროგრამული კოდი 04 00).** მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს 15 საბავშვო ბაღი 490 აღსაზრდელით, რომლის ფუნქციონირებას უზრუნველყოფს ა(ა)ი.პ. ქედის ბაგა ბაღების გაერთიანება. სულ სკოლამდელ დაწესებულებებში დასაქმებულია 255 თანამშრომელი, მათ შორის 30 კაცი და 225 ქალი. ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად იგეგმება: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამა/მეთოდოლოგიის დახვეწა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის(ეზო, შენობა, ინვენტარი და სხვა) განვითარება. ბაგა-ბაღების პერსონალის შრომითი პირობების გაუმჯობესება და მათი კვალიფიკაციის ამაღლება. პროგრამით დაგეგმილია სკოლამდელი განათლების ინფრასტრუქტურის მოწესრიგება და არსებულ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოყვანა. ამასთან პროგრამის ფარგლებში მოხდება სკოლამდელი აღზრდის წარმატებულ პედაგოგთა შრომის სტიმულირება და წახალისება. განათლებული საზოგადოება ძლიერი სახელმწიფოს უმნიშვნელოვანესი საყრდენია. ჩვენს ქვეყანაში ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი მომავალი თაობის ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფაა. იმისათვის, რომ კიდევ უფრო მეტად ამაღლდეს მოსწავლისა და სტუდენტის სწავლის ხარისხი, ძალზედ მნიშვნელოვანია მათი მოტივირება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება წარმოდგენილი განცხადებების მიღება, განხილვა და დაზუსტება. შერჩეულ ბენეფიციარებზე წლის განმავლობაში ერთხელ გაიცემა სტიპენდია, რომლებსაც ბოლო ორი წელი ნასწავლი აქვთ ქედის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლაში, ამასთან მოსწავლეს უნდა ჰქონდეს მინიჭებული ოქროს ან ვერცხლის მედალოსანის/მედალოსნის კანდიდატის სტატუსი. ასევე ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება იმ სტუდენტთა წახალისება, რომლებიც ბოლო ორი წელი სწავლობდნენ ქედის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლაში და ერთიან ეროვნულ გამოცდებში მოიპოვებენ სახელმწიფო (50 %, 70%, 100 %) გრანტს და ჩაირიცხებიან საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ, ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში აკადემიური უმაღლესი განათლების პირველი საფეხურის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე.



შენიშვნა: ქვეპროგრამის ფარგლებში სტიპენდია გაიცემა შემდეგნაირად - სტუდენტი, რომელიც ერთიან ეროვნულ გამოცდებში მოიპოვებს 100 % გრანტს, სტიპენდიის სახით ერთჯერადად ჩაერიცხება 1250 ლარი, 70% -ის შემთხვევაში 875 ლარი, ხოლო 50% - 625 ლარი.

მოსწავლეს, რომელსაც მიენიჭება ოქროს მედალოსანის სტატუსი, წლის განმავლობაში ერთხელ სტიპენდიის სახით ჩაერიცხება 625 ლარი, ხოლო ვერცხლის მედალოსანს 500 ლარი.

დაფინანსება: პროგრამის ფარგლებში თანხა გაიცემა წლის განმავლობაში ერთხელ.

| პროგრამული კოდი | პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა                                                                           |
|-----------------|-------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| 04 00           | განათლება                                                                                                   |
| 04 01           | სკოლამდელი აღზრდა და განათლება                                                                              |
| 04 01 01        | ა.ა.ი.პ. ქედის ბაგა-ბაღების გაერთიანება                                                                     |
| 04 02           | ქედის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ წარმატებულ სტუდენტთა, ოქროსა და ვერცხლის მედალოსან მოსწავლეთა დახმარება |

**პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი:** სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში ხარისხიანი სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესისათვის ხელშეწყობა; საბავშვო ბაღებში სწავლების ხარისხის და აღმზრდელების კვალიფიკაციის ამაღლება განათლების სამინისტროს მიერ შემუშავებული და მთავრობის სხვადასხვა დადგენილებით დამტკიცებული სტანდარტების შესაბამისად. მოსწავლეებისა და სტუდენტების წახალისება, განათლების ხელშეწყობა, სწავლით დაინტერესება, მოტივაციის ამაღლება; მუნიციპალიტეტში უზრუნველყოფილია სტანდარტების შესაბამისი სკოლამდელი აღზრდის თანაბარი ხელმისაწვდომობა, შექმნილია ბავშვების განვითარებაზე ორიენტირებული სააღმზრდელო გარემო, წახალისებულია წარმატებული სტუდენტები და მოსწავლეები.

### პრიორიტეტი:

## 5. კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00).

| პროგრამული კოდი | პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა |
|-----------------|-----------------------------------|
| 05 00           | კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი   |
| 05 01           | სპორტის განვითარების ხელშეწყობა   |
| 05 02           | კულტურის განვითარების ხელშეწყობა  |

- პროგრამა: სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01).** ქედის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის სპორტული ღონისძიებების და აქტივობების ორგანიზება, მასში მონაწილე სპორტსმენებისა და ახალგაზრდების დაჯილდოება ფასიანი საჩუქრებით; ოლიმპიადის, მსოფლიოს, ევროპის და საქართველოს ოფიციალური ჩემპიონატების საპრიზო (I,II,III) ადგილებზე გასული, ქედის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარეზე სპორტსმენებისა და მწრთენელების წახალისება ფულადი ჯილდოთი; დვაწლმოსილი ვეტერანი სპორტსმენების (წარსულში ქედის მუნიციპალიტეტის სახელით მოასპარეზე წარმატებული ვეტერანი სპორტსმენი) დაჯილდოება ფულადი და ფასიანი საჩუქრებით; სხვადასხვა სპორტულ ღონისძიებებზე სპორტსმენებისა და მწრთენელების ტრანსპორტირებაში დახმარება; საქართველოს სასკოლო სპორტული ოლიმპიადისა და სპორტი ბარიერების გარეშე, ევროპის სპორტის კვირეული, რომლებშიც მონაწილეობას ღებულობენ ქედის მუნიციპალიტეტის საჯარო



და საბაზო სკოლები. რეგიონალური სპორტული შეჯიბრება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

| პროგრამული კოდი | პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა                   |
|-----------------|-----------------------------------------------------|
| 05 01           | სპორტის განვითარების ხელშეწყობა                     |
| 05 01 01        | ა.ა.ი.პ. ქედის სასპორტო სკოლა                       |
| 05 01 02        | სპორტული ღონისძიებების მხარდაჭერა                   |
| 05 01 03        | სპორტული კლუბების განვითარების მხარდაჭერა           |
| 05 01 04        | სასპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია |

**პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი:** მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობა, ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია, სპორტზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და სპორტული მიღწევების გაუმჯობესების ხელშეწყობა; ხელშეწყობილია ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, უზრუნველყოფილია სპორტის სხვადასხვა სახეობების თანაბარი ხელმისაწვდომობა და წახალისებულია სპორტული მიღწევები.

- **პროგრამა: სპორტული კლუბების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 03).** მოხდება ნიჭიერი და პერსპექტიული ბავშვების გამოვლენა და განვითარება მხადების ყველა ეტაპზე, რათა შემდეგ მოხდეს ძირითადი გუნდისათვის კვალიფიციური რაგბისტების ჩამოყალიბება. სელექციის პროცესი ხელს შეუწყობს გუნდების სასწავლო საწვრთნელი პროცესის ამაღლებას. მწვრთნელთა კვალიფიკაციის ამაღლება ერთერთი მთავარი პირობაა შედეგის მისაღწევად. 1.სარაგბო კლუბ „ფირალები“-ს საქართველოს რეგიონალურ ჩემპიონატში პირველ სამეულში მოხვედრა. აგრეთვე, რაგბის პოპულარიზაციის მიზნით მეტი ახალგაზრდის მოზიდვა რაგბის ასაკობრივ გუნდში, რაც ადგილობრივი პროფესიონალი სპორტსმენების აღზრდისა და ძირითადი გუნდის ქედის სპორტსმენებით დაკოპლექტების წინაპირობაა. კლუბის ბაზაზეა 2 ბავშვთა ასაკობრივი ჯგუფი. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

| პროგრამული კოდი | პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა         |
|-----------------|-------------------------------------------|
| 05 01 03        | სპორტული კლუბების განვითარების მხარდაჭერა |
| 05 01 03 02     | შ.პ.ს. სარაგბო კლუბი ფირალები             |
| 05 01 03 03     | ააიპ „ბავშვთა საფეხბურთო კლუბი ქედა“      |

**პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი:** რაგბის პოპულარიზაცია და ხელშეწყობა და კლუბებში ბავშვთა და მოზარდთა ჩართულობის უზრუნველყოფა; უზრუნველყოფილია რაგბის კლუბების გამართული ფუნქციონირება და ბავშვთა და მოზარდთა ჩართულობა.

- **პროგრამა: სასპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 05 01 04).** ქედის მუნიციპალიტეტში სხვადასხვა სახის მინი სპორტული მოედნების რეაბილიტაცია.



პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

| პროგრამული კოდი | პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა                                                 |
|-----------------|-----------------------------------------------------------------------------------|
| 05 01 04        | სასპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა და რეაბილიტაცია                               |
| 05 01 04 01     | მინი სპორტული მოედნების რეაბილიტაცია (დანდალო, ზესოფელი, კოლოტაური, სოფ.ცხმორისი) |
| 05 01 04 02     | სოფელ ცხემნაში მინი სპორტული მოედნისა და სკვერის მოწყობა                          |
| 05 01 04 03     | დაბა ქედაში თედო სახოკიას ქუჩაზე მინი სპორტული მოედნისა და სკვერის მოწყობა        |

**პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი:** ხელშეწყობილია ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია, უზრუნველყოფილია სპორტის სხვადასხვა სახეობების თანაბარი ხელმისაწვდომობა, განახლებული მინი სპორტული მოედნები.

- **პროგრამა: კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02).** ტრადიციული და სახალხო დღესასწაულების ჩატარება, მთავრობის მიერ ოფიციალურად დადგენილი დღეების აღნიშვნა. კონცერტების გამოფენების, გასტროლების, სახელოვნებო პროექტების, თეატრალური წარმოდგენების, საერთაშორისო, რეგიონალური და ადგილობრივი ფესტივალების, იუბილარ, დეკლარაციის კულტურის მუშაკებთან შეხვედრა, მადლობის სიგელების, საპატიო ტიტულების, ერთჯერადი ფულადი ჯილდოების გაცემა და სხვა ღონისძიებების ორგანიზებას/ორგანიზების ხელშეწყობას.
- კულტურის სფეროში დასაქმებული ადამიანების პროფესიული განვითარება/გადამზადება/(ტრენინგები, ვორქშოპები, სემინარები, მასტერკლასები)
- კულტურული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა (მუნიციპალიტეტის ცნობადობის ამაღლება და პოპულარიზაცია, ქედის მუნიციპალიტეტის ტრადიციული სამხარეულოს გამოფენა-დეგუსტაცია, კულტურული ღონისძიებების მოწყობა-ჩატარება.)
- საერთაშორისო კულტურულ-ურთიერთობათა გაღრმავება, დამეგობრებულ ქვეყნებთან და მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობა და ერთობლივი პროექტების განხორციელება, ჩვენი კულტურის წარმოჩენა და გამოცდილების გაზიარება. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

| პროგრამული კოდი | პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა                                                            |
|-----------------|----------------------------------------------------------------------------------------------|
| 05 02           | კულტურის განვითარების ხელშეწყობა                                                             |
| 05 02 01        | ა.ა.ი.პ. ქედის კულტურის ცენტრი                                                               |
| 05 02 02        | ა.ა.ი.პ. ქედის სახელოვნებო სკოლა                                                             |
| 05 02 03        | ა.ა.ი.პ. ქედის ისტორიული მუზეუმი                                                             |
| 05 02 04        | კულტურული ღონისძიებების ორგანიზება, მხარდაჭერა და ხელშეწყობა                                 |
| 05 02 05        | ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა                                                        |
| 05 02 06        | კულტურის სახლების, კლუბებისა და ბიბლიოთეკების მშენებლობა- რეაბილიტაცია და ინვენტარით აღჭურვა |

**პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი:** ქედის მუნიციპალიტეტში კულტურის პროექტების



განხორციელების, კულტურისა და ხელოვნების სფეროს ხელმისაწვდომობის, შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების ხელშეწყობა და კულტურის პოპულარიზაცია; შექმნილია პირობები კულტურისა და ხელოვნების პოპულარიზაციისთვის, ხელშეწყობილია კულტურისა და ხელოვნების სხვადასხვა კოლექტევები და სტუდიები და უზრუნველყოფილია კულტურულ-შემოქმედებით ცხოვრებაში მოსახლეობის ჩართულობა. გაზრდილია მუნიციპალიტეტის კულტურული აქტივობა, ხელშეწყობილია კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობა, შენარჩუნებული და დაცულია კულტურული მემკვიდრეობა.

- **პროგრამა: ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 05).** პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა ახალგაზრდული ღონისძიებები, ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა; პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

| პროგრამული კოდი | პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა                   |
|-----------------|-----------------------------------------------------|
| 05 02 05        | ახალგაზრდობის განვითარების ხელშეწყობა               |
| 05 02 05 01     | ინტელექტუალური და შემეცნებითი პროექტების მხარდაჭერა |

**პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი:** ახალგაზრდობის გააქტიურება და სამოქალაქო აქტივობებში ჩართვა, ახალგაზრდული ინიციატივების წახალისება, ახალგაზრდობის შესაძლებლობების რეალიზება და მათი სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა; შექმნილია ახალგაზრდობის განვითარებაზე ორიენტირებული გარემო, უზრუნველყოფილია ახალგაზრდობის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობა და ხელშეწყობილია მათი სამოქალაქო ინიციატივები, ხელშეწყობილია გენდერული თანასწორობის საკითხებზე საზოგადოების ინფორმირებულობა.

- **პროგრამა: კულტურის სახლების, კლუბებისა და ბიბლიოთეკების მშენებლობა- რეაბილიტაცია და ინვენტარით აღჭურვა (პროგრამული კოდი 05 02 06).** ქედის კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნება, კულტურული აქტივობების განვითარების ხელშეწყობა, კულტურული ცხოვრების აქტივობის გაზრდა, ხელოვანთა შემოქმედებითი ზრდის ხელშეწყობა, კულტურულ საგანმანათლებლო სფეროების განვითარების ხელშეწყობა, ეროვნული ღონისძიებების პაპულარიზაცია, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა შენარჩუნება, დაცვა, პოპულარიზაცია და ცნობადობის ამაღლება. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილია შემდეგი ქვეპროგრამების განხორციელება:

| პროგრამული კოდი | პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა                                                            |
|-----------------|----------------------------------------------------------------------------------------------|
| 05 02 06        | კულტურის სახლების, კლუბებისა და ბიბლიოთეკების მშენებლობა- რეაბილიტაცია და ინვენტარით აღჭურვა |
| 05 02 06 01     | დაბა ქედის კულტურის სახლის რეაბილიტაცია                                                      |

**პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი:** ქედის კულტურული ცხოვრების გამრავალფეროვნება, კულტურული აქტივობების განვითარების ხელშეწყობა, კულტურული ცხოვრების აქტივობის გაზრდა, ხელოვანთა შემოქმედებითი ზრდის ხელშეწყობა, კულტურულ საგანმანათლებლო სფეროების განვითარების ხელშეწყობა, ეროვნული ღონისძიებების პაპულარიზაცია, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა შენარჩუნება, დაცვა, პოპულარიზაცია და ცნობადობის ამაღლება; გაზრდილია მუნიციპალიტეტის კულტურული აქტივობა, ხელშეწყობილია კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმიანობა, შენარჩუნებული და დაცულია კულტურული მემკვიდრეობა.

**პრიორიტეტი:**



## 6. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00).

| პროგრამული კოდი | პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა            |
|-----------------|----------------------------------------------|
| 06 00           | ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა |
| 06 01           | ჯანმრთელობის დაცვა                           |
| 06 02           | სოციალური უზრუნველყოფა                       |

- **პროგრამა: ჯანმრთელობის დაცვა (პროგრამული კოდი 06 01).** პროგრამის ფარგლებში არსებული 6 ქვეპროგრამით მოხდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სხვადასხვა სოციალური ჯგუფის წარმომადგენელი მოქალაქეების სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

| პროგრამული კოდი | პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა                                                                                   |
|-----------------|---------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| 06 01           | ჯანმრთელობის დაცვა                                                                                                  |
| 06 01 01        | მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ამბულატორიებში დასაქმებული ექიმების ტრანსპორტით უზრუნველყოფა |
| 06 01 02        | სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურება                                                                           |
| 06 01 03        | თემზე დაფუძნებული მობილური გუნდის მომსახურება მძიმე ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისათვის                          |
| 06 01 04        | ოპერაციული მკურნალობის თანადაფინანსება                                                                              |
| 06 01 05        | მოწყვლადი სოციალური ჯგუფების ბენეფიციართა მედიკამენტებით უზრუნველყოფა                                               |
| 06 01 06        | ქრონიკული დაავადებების სამკურნალო სპეციფიკური მედიკამენტებით უზრუნველყოფა                                           |

**პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი:** მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა. გაზრდილია ხელმისაწვდომობა სამედიცინო სერვისებზე.

- **პროგრამა: სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 02).** პროგრამის ფარგლებში არსებული 12 ქვეპროგრამით მოხდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მძიმე სოციალური მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეების დახმარება. მოსახლეობის სხვადასხვა ფენების სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების ხელშეწყობა და სხვა სოციალური ღონისძიებების განხორციელება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება:

| პროგრამული კოდი | პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა                                                            |
|-----------------|----------------------------------------------------------------------------------------------|
| 06 02           | სოციალური უზრუნველყოფა                                                                       |
| 06 02 01        | სოციალურად დაუცველი ფენისათვის ყოველდღიური, ერთჯერადი უფასო კვებით უზრუნველყოფა              |
| 06 02 02        | ვეტერანთა უკვდავყოფის, სარიტუალო მომსახურების, სადღესასწაულო დღეების ორგანიზება და დახმარება |
| 06 02 04        | ოთხ და მეტ შვილიან ბავშვთა ოჯახებზე (18 წლამდე ბავშვები) ერთჯერადი ფინანსური დახმარება       |



|          |                                                                                                                       |
|----------|-----------------------------------------------------------------------------------------------------------------------|
| 06 02 05 | გაჭირვებულ ოჯახებში გარდაცვლილ პირთა დასაფლავებისთვის ერთჯერადი ფინანსური დახმარება                                   |
| 06 02 06 | ჰემოდიალუზის პროგრამაში ჩართულ ბენეფიციართა მგზავრობის ხელშეწყობა                                                     |
| 06 02 07 | სამედიცინო და სოციალური რეზილიტაციის პროგრამაში ჩართულ ბავშვთა აბილიტაცია/რეზილიტაციის კურსებზე მგზავრობის ხელშეწყობა |
| 06 02 09 | ძველი საცხოვრებელი სახლების მქონე ოჯახებზე ახალი საცხოვრებელი სახლებით შეცვლის პროგრამა                               |
| 06 02 10 | მოვლის საჭიროების მქონე პირთათვის ფინანსური დახმარება                                                                 |
| 06 02 11 | 0-დან 18 წლამდე ასაკის ბავშვებზე სპეციალური სამკურნალო კვების პროდუქტების შესაძენად ფინანსური დახმარება               |
| 06 02 12 | საქმიანობათა ცენტრი ქედაში უსაფრთხო გარემოსა და სიცოცხლის ხელშეწყობისათვის                                            |
| 06 02 13 | სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებულ ოჯახებზე (ბინის ქირით უზრუნველყოფა) ფინანსური დახმარება                       |
| 06 02 14 | მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე და მარჩენალდაკარგულ პირებზე ფინანსური დახმარება                                      |

**პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი:** მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები სხვადასხვა კატეგორიის მოსახლეობის სოციალური მხარდაჭერის უზრუნველყოფა; მუნიციპალიტეტში მცხოვრები სხვადასხვა სოციალური კატეგორიის მოსახლეობა უზრუნველყოფილია ფინანსური დახმარებითა და სოციალური სერვისებით.

### თავი III

#### ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

#### მუხლი 15. ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

განისაზღვროს ქედის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით თანდართული რედაქციით

ლარებში

| პროგრამული კოდი | დასახელება               | 2022 წლის ფაქტი | 2023 წლის ფაქტი | 2024 წლის გეგმა | მათ შორის            |
|-----------------|--------------------------|-----------------|-----------------|-----------------|----------------------|
|                 |                          |                 |                 |                 | საკუთარი შემოსავლები |
| 1               | ქედის მუნიციპალიტეტი     | 18 890 628      | 24 789 747      | 26 909 000      | 26 909 000           |
|                 | მომუშავეთა რიცხოვნობა    | 508             | 542             | 543             | 543                  |
|                 | ხარჯები                  | 11 691 968      | 15 502 736      | 17 768 580      | 17 768 580           |
|                 | შრომის ანაზღაურება       | 4 206 778       | 5 950 429       | 6 847 156       | 6 847 156            |
|                 | საქონელი და მომსახურეობა | 2 632 305       | 3 388 352       | 4 121 371       | 4 121 371            |
|                 | პროცენტი                 | 13 273          | 9 788           | 18 400          | 18 400               |



|       |                                                                      |           |           |           |           |
|-------|----------------------------------------------------------------------|-----------|-----------|-----------|-----------|
|       | სუბსიდიები                                                           | 2 278 495 | 2 773 961 | 3 208 645 | 3 208 645 |
|       | გრანტები                                                             | 3 480     | 6 350     | 2 100     | 2 100     |
|       | სოციალური უზრუნველყოფა                                               | 1 220 706 | 1 491 465 | 1 628 203 | 1 628 203 |
|       | სხვა ხარჯები                                                         | 1 336 931 | 1 882 390 | 1 942 705 | 1 942 705 |
|       | არაფინანსური აქტივების ზრდა                                          | 7 171 870 | 9 260 222 | 9 112 420 | 9 112 420 |
|       | ვალდებულებების კლება                                                 | 26 790    | 26 790    | 28 000    | 28 000    |
| 01 00 | მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები                           | 4 408 087 | 4 425 351 | 6 343 420 | 6 343 420 |
|       | მომუშავეთა რიცხოვნობა                                                | 120       | 124       | 125       | 125       |
|       | ხარჯები                                                              | 3 150 236 | 4 107 861 | 5 141 920 | 5 141 920 |
|       | შრომის ანაზღაურება                                                   | 1 871 039 | 2 503 784 | 2 805 700 | 2 805 700 |
|       | საქონელი და მომსახურეობა                                             | 1 120 968 | 1 490 280 | 1 950 620 | 1 950 620 |
|       | პროცენტი                                                             | 13 273    | 9 788     | 18 400    | 18 400    |
|       | გრანტები                                                             | 3 480     | 4 350     | 2 100     | 2 100     |
|       | სოციალური უზრუნველყოფა                                               | 6 817     | 5 716     | 0         | 0         |
|       | სხვა ხარჯები                                                         | 134 659   | 72 033    | 318 635   | 318 635   |
|       | არაფინანსური აქტივების ზრდა                                          | 1 231 061 | 290 700   | 1 173 500 | 1 173 500 |
|       | ვალდებულებების კლება                                                 | 26 790    | 26 790    | 28 000    | 28 000    |
| 01 01 | საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა | 3 207 776 | 4 269 974 | 4 868 620 | 4 868 620 |
|       | მომუშავეთა რიცხოვნობა                                                | 120       | 124       | 125       | 125       |
|       | ხარჯები                                                              | 2 979 545 | 3 979 274 | 4 739 120 | 4 739 120 |
|       | შრომის ანაზღაურება                                                   | 1 871 039 | 2 503 784 | 2 805 700 | 2 805 700 |
|       | საქონელი და მომსახურეობა                                             | 1 044 655 | 1 427 013 | 1 875 620 | 1 875 620 |
|       | სოციალური უზრუნველყოფა                                               | 6 817     | 5 716     | 0         | 0         |
|       | სხვა ხარჯები                                                         | 57 034    | 42 761    | 57 800    | 57 800    |



|                 |                                                  |                  |                |                  |                  |
|-----------------|--------------------------------------------------|------------------|----------------|------------------|------------------|
|                 | არაფინანსური აქტივების ზრდა                      | 228 231          | 290 700        | 129 500          | 129 500          |
| <b>01 01 01</b> | <b>მუნიციპალიტეტის საკრებულო</b>                 | 857 132          | 981 928        | <b>1 123 900</b> | 1 123 900        |
|                 | მომუშავეთა რიცხოვნობა                            | 24               | 25             | <b>30</b>        | 30               |
|                 | ხარჯები                                          | 850 832          | 975 653        | <b>1 107 300</b> | 1 107 300        |
|                 | შრომის ანაზღაურება                               | 622 411          | 684 845        | <b>760 600</b>   | 760 600          |
|                 | საქონელი და მომსახურეობა                         | 200 872          | 257 994        | <b>299 500</b>   | 299 500          |
|                 | სხვა ხარჯები                                     | 27 549           | 32 814         | <b>47 200</b>    | 47 200           |
|                 | არაფინანსური აქტივების ზრდა                      | 6 300            | 6 275          | <b>16 600</b>    | 16 600           |
| <b>01 01 02</b> | <b>მუნიციპალიტეტის მერია</b>                     | 2 278 361        | 3 173 114      | <b>3 744 720</b> | 3 744 720        |
|                 | მომუშავეთა რიცხოვნობა                            | 92               | 95             | <b>95</b>        | 95               |
|                 | ხარჯები                                          | 2 056 430        | 2 890 376      | <b>3 631 820</b> | 3 631 820        |
|                 | შრომის ანაზღაურება                               | 1 190 261        | 1 731 947      | <b>2 045 100</b> | 2 045 100        |
|                 | საქონელი და მომსახურეობა                         | 829 867          | 1 143 215      | <b>1 576 120</b> | 1 576 120        |
|                 | სოციალური უზრუნველყოფა                           | 6 817            | 5 716          | <b>0</b>         | 0                |
|                 | სხვა ხარჯები                                     | 29 485           | 9 498          | <b>10 600</b>    | 10 600           |
|                 | არაფინანსური აქტივების ზრდა                      | 221 931          | 282 737        | <b>112 900</b>   | 112 900          |
| <b>01 01 03</b> | <b>სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახური</b> | 72 283           | 114 933        | <b>0</b>         | 0                |
|                 | მომუშავეთა რიცხოვნობა                            | 4                | 4              | <b>0</b>         | 0                |
|                 | ხარჯები                                          | 72 283           | 113 245        | <b>0</b>         | 0                |
|                 | შრომის ანაზღაურება                               | 58 367           | 86 993         | <b>0</b>         | 0                |
|                 | საქონელი და მომსახურეობა                         | 13 916           | 25 803         | <b>0</b>         | 0                |
|                 | სხვა ხარჯები                                     |                  | 449            | <b>0</b>         | 0                |
|                 | არაფინანსური აქტივების ზრდა                      |                  | 1 688          | <b>0</b>         | 0                |
| <b>01 02</b>    | <b>საერთო დანიშნულების ხარჯები</b>               | <b>1 200 311</b> | <b>155 377</b> | <b>1 474 800</b> | <b>1 474 800</b> |
|                 |                                                  |                  | 128            |                  |                  |



|                    |                                                                                        |           |        |                  |           |
|--------------------|----------------------------------------------------------------------------------------|-----------|--------|------------------|-----------|
|                    | ხარჯები                                                                                | 170 691   | 587    | <b>402 800</b>   | 402 800   |
|                    | საქონელი და მომსახურება                                                                | 76 313    | 63 267 | 75 000           | 75 000    |
|                    | პროცენტი                                                                               | 13 273    | 9 788  | <b>18 400</b>    | 18 400    |
|                    | სუბსიდიები                                                                             | 0         | 21 910 | 46 465           | 46 465    |
|                    | გრანტები                                                                               | 3 480     | 4 350  | 2 100            | 2 100     |
|                    | სხვა ხარჯები                                                                           | 77 625    | 29 272 | <b>260 835</b>   | 260 835   |
|                    | არაფინანსური აქტივების ზრდა                                                            | 1 002 830 | 0      | <b>1 044 000</b> | 1 044 000 |
|                    | ვალდებულებების კლება                                                                   | 26 790    | 26 790 | <b>28 000</b>    | 28 000    |
| <b>01 02 01</b>    | <b>სარეზერვო ფონდი</b>                                                                 | 0         | 0      | <b>214 400</b>   | 214 400   |
|                    | ხარჯები                                                                                | 0         | 0      | <b>214 400</b>   | 214 400   |
|                    | სხვა ხარჯები                                                                           | 0         | 0      | <b>214 400</b>   | 214 400   |
| <b>01 02 02</b>    | <b>მონაწილეობითი ბიუჯეტი</b>                                                           | 1 085 393 | 49 500 | <b>1 104 000</b> | 1 104 000 |
|                    | ხარჯები                                                                                | 82 563    | 49 500 | <b>60 000</b>    | 60 000    |
|                    | საქონელი და მომსახურება                                                                | 72 063    | 49 500 | 60 000           | 60 000    |
|                    | სხვა ხარჯები                                                                           | 10 500    | 0      | <b>0</b>         | 0         |
|                    | არაფინანსური აქტივების ზრდა                                                            | 1 002 830 | 0      | <b>1 044 000</b> | 1 044 000 |
| <b>01 02 03</b>    | <b>მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებითი მონაწილეობა საგრანტო და ადგილობრივ პროექტებში</b> | 31 405    | 26 260 | <b>50 000</b>    | 50 000    |
|                    | ხარჯები                                                                                | 31 405    | 26 260 | <b>50 000</b>    | 50 000    |
|                    | სუბსიდიები                                                                             |           | 21 910 | 46 465           | 46 465    |
|                    | გრანტები                                                                               | 3 480     | 4 350  | 2 100            | 2 100     |
|                    | სხვა ხარჯები                                                                           | 27 925    | 0      | <b>1 435</b>     | 1 435     |
| <b>01 02 04</b>    | <b>სასეხო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა</b>                                    | 40 063    | 36 578 | <b>46 400</b>    | 46 400    |
|                    | ხარჯები                                                                                | 13 273    | 9 788  | <b>18 400</b>    | 18 400    |
|                    | პროცენტი                                                                               | 13 273    | 9 788  | <b>18 400</b>    | 18 400    |
|                    | ვალდებულებების კლება                                                                   | 26 790    | 26 790 | <b>28 000</b>    | 28 000    |
| <b>01 02 04 01</b> | <b>სასეხო ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა</b>                                    | 40 063    | 36 578 | <b>45 400</b>    | 45 400    |
|                    | ხარჯები                                                                                | 13 273    | 9 788  | <b>18 400</b>    | 18 400    |



|             |                                                                                                        |                  |                  |                  |                  |
|-------------|--------------------------------------------------------------------------------------------------------|------------------|------------------|------------------|------------------|
|             | პროცენტი                                                                                               | 13 273           | 9 788            | <b>18 400</b>    | 18 400           |
|             | ვალდებულებების კლება                                                                                   | 26 790           | 26 790           | <b>27 000</b>    | 27 000           |
| 01 02 04 02 | წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების ფინანსური უზრუნველყოფა | 0                | 0                | <b>1 000</b>     | 1 000            |
|             | ვალდებულებების კლება                                                                                   | 0                | 0                | <b>1 000</b>     | 1 000            |
| 01 02 05    | ადგილობრივ დონეზე ქალთა სოციალური-ეკონომიკური გაძლიერება/ხელშეწყობა                                    | 14 430           | 28 972           | <b>45 000</b>    | 45 000           |
|             | ხარჯები                                                                                                | 14 430           | 28 972           | <b>45 000</b>    | 45 000           |
|             | საქონელი და მომსახურეობა                                                                               | 510              | 0                | 0                | 0                |
